სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 23 0001113782

08/09/2023

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

2023 წლის 25 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სააპელაციო საჩივარი (დაწესებულების 2023 წლის 18 აგვისტოს №BAU-OC2860 და 2023 წლის 25 აგვისტოს №BAU-OC2872 წერილები) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 02 აგვისტოს №957691 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარს. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2023 წლის 07 სექტემბერს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი არ პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 95-ე მუხლის პირველ პუნქტს, 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. ამავე დებულების 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმს უარი ეთქვას სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ 2023 წლის 18 აგვისტოს №BAU-OC2860 და 2023 წლის 25 აგვისტოს №BAU-OC2872 კორესპონდენციებით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.
2. სააპელაციო საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომის №1113632 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სუმბაძე არჩილ